

საქართველოს წყლები – წყლის მონიტორინგისა და მართვის შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში

დაწყების თარიღი : 01-01-2011

დასრულების თარიღი: 01-04-2014

პროექტის აღწერა:

საპროექტო დოკუმენტი პროექტისათვის „საქართველოს წყლები – წყლის მონიტორინგისა და მართვის შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში, 2011– 2013 წწ.“ მომზადდა საქართველოს გარემოსდაცვითი ინსტიტუციებთან მჭიდრო თანამშრომლობით და დაფუძნებულია წყლის მონიტორინგის სექტორში საქართველოს მომავალი საჭიროებებზე და ამ პროექტის პირველი ფაზის განხორციელებისას მიღებულ გამოცდილებებზე და აგრეთვე იმ დისკუსიებზე, რომლებიც გაიმართა საქართველოს გარემოსდაცვითი ინსტიტუციებთან მოსამზადებელი მისიების დროს. სააგენტოები, რომლებიც მონაწილეობენ და პასუხისმგებელი არიან თანამშრომლობაზე საქართველოს მხრიდან არის გარემოს ეროვნული სააგენტო, ხოლო ფინეთის მხრიდან ფინეთის გარემოს ინსტიტუტი.

თანამშრომლობის მიზანი ზოგადად მდგომარეობს წყლისა და წყლის ეკოლოგიის სტატუსის გაუმჯობესებაში და მინიმუმირებული იყოს კლიმატის ცვლილების ნეგატიური ეფექტები საქართველოს ეკონომიკაზე, საზოგადოების ჯანმრთელობაზე და მდგრად განვითარებაზე.

პროექტის უშუალო მიზანი არის გაძლიერდეს გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობები ზედაპირული წყლების მონიტორინგში და მართვაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობაში საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპებთან ერთად, კერძოდ UNECE-ის ტრანსსასაზღვრო მდინარეების მონიტორინგისა და წყლისა და ჯანმრთელობის მოთხოვნების სახელმძღვანელოს შესაბამისად.

პროექტის მოსამზადებელი მისიების მიგნებებისა და ერთობლივი დასკვნების საფუძველზე შემდგომი მარტივი ლოგიკური ჩარჩო იქნა დასახული პროექტის განხორციელებისათვის. ეს ჩარჩო შემდგომაც იქნება კორექტირებული პროექტის დაწყებისას. პროექტის განხორციელების სტრატეგია იქნება „ერთად მოქმედება“ და „პრაქტიკული“ სწავლება. პროექტის განმავლობაში სამი სასწავლო ტური გაიმართება ფინეთში. ეს სასწავლო ტურები ფოკუსირებული იქნება: დისტანციური ზონდირება და მონაცემთა დამუშავება, წყალდიდობების რისკების მართვა და ლაბორატორიაში ხარისხის კონტროლის პრაქტიკები.

პროექტი დაყოფილი სამ კომპონენტად და მოიცავს რამდენიმე ქმედებას. პროექტის კომპონენტებია:

1. ჯანდარის ტბის ტრანსსასაზღვრო მონიტორინგის შესაძლებლობების გაძლიერება;
2. კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაცია: წყალდიდობების რისკების მართვის დაგეგმვის შესაძლებლობების გაძლიერება;

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინსტიტუციონალური განვითარება გარემოს მონიტორინგისა და წყლის ხარისხის შეფასების პროცედურებში.

პროექტის შედეგები :

- კომპონენტი I: ჯანდარის ტბის ტრანსსასაზღვრო მონიტორინგის შესაძლებლობების გაძლიერება არის:
- ჯანდარის ტბის მონიტორინგი დაწყებულია და საქართველო-აზერბაიჯანის ერთობლივი მონიტორინგის ფიზიკური პირი დაარსებულია და სამუშაოები ორგანიზებულია;
- სამუშაოების მიმღები პირების ეფექტური მონაწილეობა და საზოგადოების ინფორმირება ჯანდარის ტბის ეკოსისტემების დაცვის შესახებ;
- ანგარიშები ჯანდარის ტბის ეკოსისტემების შესახებ;
- ანგარიშები ჯანდარის ტბის სოციალურ-ეკონომიკური შესწავლის შესახებ და მისი მნიშვნელობის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობისათვის;
- ანგარიშები დაფუძნებული მრავალ კრიტერიუმის ანალიზებზე : რა არის რეალური შესაძლებლობები ჯანდარის ტბის ეფექტურად დაცვისათვის;
- გარემოს ეროვნული სააგენტოს თანამშრომლების მზადყოფნა მონიტორინგის თანამედროვე მეთოდების გამოსაყენებლად (ქიმიური და მეტეოროლოგიური);

- სწავლების ანგარიშები;
- სწავლაგავლილი სპეციალისტები.
- კომპონენტი II: კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაცია: წყალდიდობების რისკების მართვის დაგეგმვის შესაძლებლობების გაძლიერება;
- სწავლების მასალები და სწავლების ანგარიშები;
- სწავლაგავლილი სპეციალისტები.
- განახლებული და აღჭურვილი ჰყდრომეტეოროლოგიური სადგურები.

კომპონენტი III: გარემოს ეროვნული სააგენტოს ინსტიტუციონალური განვითარება გარემოს მონიტორინგისა და წყლის ხარისხის შეფასების პროცედურებში.

- სწავლების მასალები და სწავლების ანგარიშები;
- სახელმძღვანელო წყლის მონიტორინგის/ნიმუშების აღების პროცედურების შესახებ;
- ანგარიშები ლაბორატორიის ურთიერთშედეგების ტესტების შესახებ;
- სწავლების ანგარიშები;
- შავიზღვის ზედაპირის ტემპერატურის ოპერატიული რუქების დემონსტრაცია გარემოს ეროვნული სააგენტოს ინტერნეტ გვერდზე;
- საქართველოს მდინარეების ქიმიური და მიკრობიოლოგიური სტატუსის შესახებ უფრო დაზუსტებული ინფორმაცია;
- სწავლაგავლილი სპეციალისტები.

მიზნობრივი ტერიტორია : მთელი ქვეყანა

სფერო : წყლის რესურსები, კატასტროფები

დონორები :

ფინეთის მთავრობა

<http://government.fi/>

განმახორციელებლები

ორგანიზაცია: ფინეთის გარემოსდაცვითი ინსტიტუტი (SYKE)

ელ-ფოსტა: karri.eloheimo@ymparisto.fi

მისამართი: Mechelininkatu 34a P.O.Box 140, FI-00251 Helsinki, Finland

ვებ-გვერდი: <http://www.syke.fi>

საკონტაქტო პირი: კარი ელოჰეიმო, პროექტის გუნდის ლიდერი

ტელეფონი: +358 295 251 450; **ელ-ფოსტა:** karri.eloheimo@ymparisto.fi

მაილსტონები

მაილსტონი: ჯანდარის ტბის ტრანსსასაზღვრო მონიტორინგის შესაძლებლობების გაძლიერება

სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაცია: წყალდიდობების რისკების მართვის დაგეგმვის შესაძლებლობების გაძლიერება

სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: გარემოს ეროვნული სააგენტოს ინსტიტუციონალური განვითარება გარემოს მონიტორინგისა და წყლის ხარისხის შეფასების პროცედურებში

სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობების განვითარება თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარების ინსტალაციით

სტატუსი: დასრულებული

ბიუჯეტი

სრული ბიუჯეტი: 500000 EUR

სრული გრანტი: 500000 EUR